საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა.)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნისტი

ხუთშაბათი 24 ნოემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 102 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 102.

## „ჩვენი ხალხი განიკურნა ბოლშევიზმისაგან“.

მეექვსე თვეა გრძელდება რიცხვით უკანასკნელი საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა დეზინფექცია კომუნიზმის ბაცილებისაგან საბჭოთა მეცნიერების წესით, რომელიც გამომუშავებულ იქმნა მენშევიკების უკანასკნელ პარტიულ ყრილობაზე და შინაგან საქმეთა მინისტრის რეცეპტით, რომლებსაც ამზადებენ სანიტარები განსაკუთრებული რაზმიდან.

გვეგონა, რომ დატუსაღება, საპყრობილეები, ადგილებიდან დათხოვნა და საქართველოს საზღვრებიდან გადასახლება იძლევა მენშევიკებისათვის სასურველ შედეგებს.

მუშათა დელეგაციაში, რომელსაც ისინი აგზავნიდნენ საბჭოთა რუსეთში დემოკრატიულ დაზვერვისათვის, მათ შეიყვანეს იმ პარტიების დელეგატები, „რომლებსაც ყავთ მუშები“—ხოლო ასეთებათ ცნობილ იქნენ მხოლოთ მენშევიკების, ფედერალისტების, ქართველ ესერების, დაშნაკელების პარტიები. „ჩვენი ხალხი განიკურნა ბოლშევიზმისაგან“,—ლეიბ-ხეითალის ტონით აცხადებენ მენშევიკები.

მაგრამ აი 14 ნოემბერს მბეჭდავთა კავშირის საერთო კრებაზე, ჩვენმა შეურიგებელმა მკურნალებმა და მკითხავებმა უცბათ გამოააშკარავეს ის, რომ არჩევნების შედეგათ ეს კავშირი, რომელსაც მენშევიკები მუდამ თვლიდენ თავის საკუთარ მამულათ, აღმოჩნდა სულ ერთიანათ კომუნისტებისაგან შემდგარ გამგეობის ხელში.

თავის თავად ცხადია, ყველა მახინაციებს მიმართეს, ბრძოლასაც კი, რომ დაუდევრობით თუ სისულელით მენშევიკებმა ხმა მისცეს არა თავის სიას, არამედ კომუნისტებისას, და არჩევნები გაუქმებულ იქნა.

შემდეგი სხდომისათვის, 21 ნოემბრისათვის სოციალ-ნაციონალისტების სამობილიზაციო გეგმა ისე იქნა შესრულებული, რომ სასხდომო დარბაზში აღმოჩნდენ ბევრი მოხალისენი, რომლებიც შეიძლება ვარგოდენ სანიტარებათ, მაგრამ მბეჭდავთა კავშირთან მეტის მეტად შორეული დამოკიდებულება ჰქონდათ. კენჭის ყრის წინ მენშევიკები დერვიშივით იკვანჭებოდენ აუდიტორიის წინაშე, ირტყამდენ გულზე ხელს, ფიცულობდენ, რათა დაემტკიცებიათ, რომ საქართველოს პროფკავშირებში არ არიან და არც უნდა იყვნენ ბოლშევიკები, რომ მათში არის მხოლოდ და უნდა იყვეს ყვითელი ნაციონალისტების ბლოკი მენშევიკებიდან დაწყებული და დაშნაკელებით გათავებული.

ერთიანი ფრონტით გამოვიდა ეს ბლოკი კომუნისტების წინააღმდეგ, დაიმედებული განსაკუთრებულ რაზმიდან მთავარ ანგელოსთან უფრო რეალურ ალმხრელობითი ძალაზე, რომლებიც იდგენ კრების ახლოს და მის გარშემო პოსტზე.

მაგრამ თავდება ხმების დათვლა და, ჰოი, საკვირველებავ! ისევ მოულოდნელი მენშევიკებისათვის ამბავი: კომუნისტები იღებენ 261 ხმას—მთელი ბლოკის 262 ხმის წინააღმდეგ. ამ ბლოკში კი შედიოდა ოთხი პარტია.

არჩევნებზე დაგვიანებული ერთი მუშა მიდის თავმჯდომარესთან და ეუბნება მას, რომ ხმა უნდა მისცეს ბლოკის სიას. მას სიამოვნებით აძლევენ ყვითელ ბლოკის № 1 გახსნილ ბიულეტენს, მაგრამ ის იღებს ამხანაგისაგან № 2 ბიულეტენს და ხმას აძლევს კომუნისტების სიას. ისევ ახალი „სკანდალი“ მენშევიკების თავმჯდომარისათვის და ყველა ბლოკელებისათვის. ამ მდგომარეობიდან გამოსავალს თავმჯდომარე პოულობს იმაში, რომ აცხადებს, რომ ამ მუშამ არა „პატიოსნათ“ გაისაჯა და სხვა ასეთი, ბარგალიტები. ამის შემდეგ ბლოკის რიგიდან გამორბის მკლავმძისებური ტიპის მენშევიკი და დემოკრატიულ მუშტით ჩვენს ამხანაგის სახეზე შემორტყმით ცდილობს გამოასწოროს მენშევიკების და ძმათა მათთა უნუგეშო მდგომარეობა.

მაგრამ სირცხვილის საფასურით ვერ მოიპოვებენ მენშევიკები გულის სიმშვიდეს ამ უბედურებაში. ჩვენი ამხანაგები ზოგჯერ მენშევიკების პოლიციელ დერჟიმორდების საბრძანებლოში თავის კბილებსაც კი სტოვებდენ, მაგრამ ეს მათ არ აშინებდა და არც არცხვენდა ჩვენი ამხანაგების სახელს. ეხლა კი მენშევიკებს ჩვენთან „იდეურ“ ბრძოლის საშუალებები, რომლებიც გამოიმუშავეს სისხლის სამართლის მილიციაში და განსაკუთრებულ რაზმში, ახლა ეს ბრძოლის საშუალებები გადმოაქვთ პროფესიონალურ კავშირების კრების დარბაზში.

რას იზამ! ერთ ჩვენ ამხანაგის გალახვას მთელი საქართველოს კომუნისტური პარტია მიიღებს თავის გალახვათ. ამ ხულიგნურ მოქმედებისთვის ჩვენი პარტია ხულიგნობითვე არ უპასუხებს და განაგრძობს თავის მუშაობას. პარტიას კარგათ აქვს შეგნებული, რომ მენშევიკების მიერ საერთო კრებაზე მიღებული გაკვეთილი არ არის უკანასკნელი გაკვეთილი, რომ მომავალი ეკუთვნის მშრომელ კლასს, რომელიც თავისუფლდება და კიდეც განთავისუფლდა სოციალ-ნაციონალისტების გავლენისაგან, რომლებმაც პროფესიონალურ მოძრაობის დღიურ წეს-რიგში დააყენეს ჯავშნიანი მუშტი.

## გუშინ და ხვალ.

სამი წლის განმავლობაში განმარტოებით მებრძოლი რუსეთის პროლეტარიატი მუდამ იმის ფიქრსა და იმედიან მოლოდინში იყო, თუ როდის დაიძვროდა იმის საშველათ მისი თანამოძმე ევროპა-ამერიკის პროლეტარიატი. უთანასწორო ბრძოლა მთელი კაპიტალისტური ქვეყნის წინააღმდეგ მუდამ წინა რიგში აყენებდა ამ კითხვას და მთელ თავის დროს და უბედობას მას უკავშირებდა. გარშემორტყმული მოზღვავებული ძალები იმდენათ ძლიერი, მრისხანე და დაუნდობელი იყვნენ, რომ არა მათი საბოლოოთ დაძლევა, არამედ მხოლოთ როგორმე თავის გადარჩენა, სოციალისტური კერის როგორმე გაუქრობლათ შენახვა უდიდეს და ურთულეს ამოცანას წარმოადგენდა მსოფლიო პროლეტარული ჯარის ამ ერთი გმირული რაზმისათვის.

მოწინააღმდეგენი დღეობით და საათობით ითვლიდენ ატეხილ საისტორიო ბრძოლის სამარცხვინოთ დაბოლოვებას და მისი შეგნებული მატარებლის საბოლოო განადგურებას. დღე ერთი იყო და ატმოსფერის მომწამვლელი წინასწარმეტყველება კი ათასი. რაც უფრო მეტ გამძლეობას იჩენდა უთვალავ გაჭირვებაში მყოფი რუსეთის პროლეტარიატი, მით უფრო ნაირ-ნაირათ სცვლიდენ მოწინააღმდეგენი თავის ბრაზნაღველით სავსე მკითხავურ ჭორებს. თვით უკანასკნელ ხანს, როდესაც ავანტიურისტ ვრანგელის დამარცხება ნაკლებ საეჭვო იყო, მის ფარულ და აშკარა მეგობრებს არ ეზარებოდათ და არ ეთაკილებოდათ სახელოვანი ლაშქრის ერთი სახელგანთქმული წინამძღოლი ბუდიონი პროლეტარიატის მოღალატეთ დაესახათ, იგი მოწინააღმდეგე ბანაკში გადასულათ წარმოედგინათ და აქედან ახალი დიდი უბედურება ეწინასწარმეტყველებინათ მათ მიერ ათვალწუნებულ მებრძოლთათვის. რა თქმა უნდა, ეს და მრავალი ამის მსგავსი ყვავ-ყორნული ჩხავილი მათ არ გახსენებიათ, როდესაც იგივე ბუდიონი ერთი პირველთაგანი შევიდა წითელი დროშით ზღვაში ჩაგდებულ ვრანგელის კონფილ სამფლობელოში.

რუსეთის პროლეტარიატმა საარაკო თავდადებით შეასრულა ისტორიის მიერ მასზე დაკისრული მოვალეობა. მან უვნებლათ გადაარჩინა პირველი სოციალისტური კერა და სოციალიზმის წითელი დროშა საიმედო ალაგას დაამაგრა. მან უკვე გადაარჩინა იგი, თუმცა მისი საბოლოო მხსნელი და მფარველი—მსოფლიო რევოლიუცია ჯერაც არ დაძრულა მთელი თავისი მძლეთა-მძლეობით. ამიერიდან კითხვა ისე კი აღარ დგას—როდის მოეშველება ევროპა-ამერიკის პროლეტარიატი მის მოძმე რუსეთის პროლეტარიატს და შესძლებს თუ არა ამ დრომდე ეს უკანასკნელი ხელიდან არ გაუშვას ბრძოლის დროშა. საეჭვო აღარ არის, რომ ევროპა-ამერიკის პროლეტარიატი უკვე იძვრის იმ გზით, რომლითაც კარგა ხანია მიდის მისი რუსეთის მოძმე. აღარც ის არის საეჭვო, რომ რაც [illegible] შვიან დაიგვიანოს მსოფლიო რევოლიუციის მეხმა, რუსეთის პროლეტარიატი შესძლებს თავისი განმათავისუფლებელი მოღვაწეობის კიდევ უფრო ნაყოფიერათ გაგრძელებას.

კითხვა ახლა სხვანაირათ ისმება: რამდენათ შესძლებს რუსეთის გამარჯვებული პროლეტარიატი თვით დაეხმაროს და მიეშველოს მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ამდგარ სხვა-და-სხვა ქვეყნის პროლეტარიატს, და სხვა-და-სხვა ქვეყნის წვრილ და მსხვილ ერებს. რომ ამ მხრით რუსეთის პროლეტარიატი დიდ საშიშროებას წარმოადგენს მის დაუძინებელ მტრებისათვის, აშკარათ ჩანს იქიდან, რომ ეს უკანასკნელნი მასთან მორიგებაზე ლაპარაკობენ და გარანტიას თხოვენ, რომ ის თავისი ძალებით სხვას არავის მიეშველოს.

წითელი რუსეთი დღეს აღარ არის მარტო შორიდან მბჟუტავი ვარსკვლავი, რომელიც კაცობრიობას უკეთეს მომავალს უჩვენებს. ის წარმოადგენს დაულეველ რეზერვს, რომლის საშვალებით მთელი მშრომელი და დაჩაგრული კაცობრიობა თავის ძალებს რაზმავს და აძლიერებს. რაგინდ ბუმბერაზათ დაიძრან მსოფლიო რევოლიუციის ზვირთები, მათ ქარტეხილში უდიდესი ხმა და გავლენა ექნება ბევრი ბრძოლის მნახველ და ბევრი გასაჭირის გადამტან რუსეთის გმირ პროლეტარიატს. მან პირნათლათ შეასრულა თავისი დანიშნულება განმარტოებით ბრძოლაში, მან საპატიო როლი უნდა შეასრულოს მოახლოებულ, გადამჭრელ, მთელი ქვეყნის პროლეტარიატის საერთო, უკანასკნელ ბრძოლაში. დიდი იყო მისი როლი გუშინ, უფრო დიდი იქნება იგი ხვალ.

## საბჭოთა რუსეთის პრესა

### მღელვარება იაპონიაში.

„ამომავალ მზის“ ქვეყანაში ყოველივე არ არის რიგზე. უკანასკნელი ცნობები ლაღადებენ, რომ იქ არსებული მდგომარეობით უკმაყოფილება დღითი დღე იზრდება, ღვივდება. და ეს უკმაყოფილება ფართეთ ედება არა მარტო იაპონელ მუშებს, რომლებიც განიცდიან იქ მძვინვარე ეკონომიურ კრიზისის მთელ სიმძიმეს, არამედ იაპონიის საზოგადოების სხვა წრეებსაც.

იაპონიის პარლამენტის უკანასკნელი სესია გრანდიოზული სკანდალით დამთავრდა. დეპუტატმა სიმედმა მკაცრათ გაილაშქრა იაპონიის მინისტრების წინააღმდეგ. მან დღის სინათლეზე გამოიტანა, თუ როგორ ფლანგავენ სახელმწიფო ქონებას მიწათ-მოქმედების მინისტრი—იამამოტო, ფინანსების—ტაკახასი, განათლების—ნაკახაშა. ეს მხილება პარლამენტიდან საზოგადოების ფართო წრეებში იქნა გადატანილი. მიტინგი, რომელიც ამის გამო მოაწყვეს ტოკიოში, რომელზედაც დაესწრო ხარის პოლიტიკით აურაცხელი უკმაყოფილო ხალხი, პოლიციელთა გაძლიერებული რაზმის მიერ გარეკილ იქნა.

იაპონიის პრესა წითელი ტერორის მთელ რიგს ფაქტებისას გვამცნობს, რომლებსაც უკანასკნელ ხანებში იაპონიაში ადგილი ჰქონდა. ასე, მაგალითათ, ტოკიოში მოჰკლეს გარეშე საქმეთა სამინისტროს კომერციული განყოფილების უფროსი. ტოკიოში მოახდინეს თავდასხმა საოლქო სასამართლოს პროკურორზე. ყველა ეს ფაქტები მჭიდროთ დაკავშირებულია ჯაშუშთა მოქმედებასთან. ამ დარგის პოლიციელთა საწინააღმდეგოთ მოქმედებს „ხაიდუმური ორგანიზაცია“, რომელსაც კავშირი აქვს რუსეთის ბოლშევიკებთან. ამ გარემოებამ ძალზე შეაშფოთა შინაგან საქმეთა სამინისტრო. იგი ზომებს ღებულობს ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველათ, როგორც იაპონიის კუნძულებზე, ისე აზიის მატერიკზე: ციმბირში, ჩინეთში და სხვა მეზობელ ქვეყნებში.

მაგრამ იაპონიის მთავრობა ამაოთ ეძებს არსებული წესწყობილების გამო უკმაყოფილებათა მიზეზებს გარეშე ძალებში და არა იაპონიის მდგომარეობის ობიექტიურ პირობებში. აგერ ახლა იაპონიის ერთმა საზოგადო ცნობილმა მოღვაწემ ტონბახარა მატაომ მოიარა იაპონიის სამრეწველო ცენტრები: ოსაკი, კიოტა, იოგო, აჩიჩი და სხვები. მან აღმოაჩინა შემდეგი: აჩიჩის პროვინციაში 20 ივნისამდის 24,433 მუშა ითვლებოდა, ოსაკში—18 ათასი, ნიოკშინში—11,753 და კიოტოში 7,157 მუშა—15 ივნისამდის.

ზოგიერთ სამრეწველო რაიონებში მუშები მხოლოდ 5 საათს მუშაობენ დღეში და აგრეთვე ზედმეტ ჯამაგირსაც ღებულობენ. მუშებისადმი ასეთი დათმობები იმით აიხსნება, რომ ამით სურთ გაანელონ მუშათა მღელვარება. ოფიციალური ცნობებია, რომ მაისის განმავლობაში 135,359 უმუშევარი ითვლებოდა. მასთან ეს რიცხვი უმუშევართა ეკუთვნის ისეთ ფაბრიკებს, რომლებშიც 20-ზე ნაკლები მუშა არ არის. ივნისის და ივლისის განმავლობაში უმუშევართა რიცხვი საზღაპროთ გაიზარდა. მუშათა ნივთიერი მდგომარეობა საშინლად გაცუდდა. ამ ნიადაგზე წარმოიშვა და იზრდება მუშათა მღელვარება.

ეკონომიური კრიზისი ღრღნის იაპონიას. ცხოვრება დღითი დღე ძვირდება. სამხედრო-სპეკულიანტური მრეწველობა კონცენტრაციის პროცესს განიცდის. ამიტომ იგი, ამცირებს თავისი წარმოებათა რიცხვს და ამნაირათ სამრეწველო დაწესებულებათა ლიკვიდაციას. ხარას მთავრობა, კაპიტალისტური საფუძვლის შერყევის შემდეგ შედგენილი, უმწეოა გამონახოს გამოსავალი ამ მრეწველობის მძიმე მდგომარეობიდან. ამ ჟამათ ეს ყველა იაპონელებისთვის აშკარაა. იაპონიის საზოგადოება ეძებს და შინჯავს ახალ გზებს თანამედროვე კრიზისის გადასაწყვეტათ.

აგერ ახლა ტელეგრაფმა ცნობა მოგვაწოდინა, რომ კაუშუს რაიონის ქვანახშირის მაღაროების მუშებმა დაადგინეს გაერთიანდენ პროფესიონალურ კავშირების საშვალებით, რათა გაერთიანებული ძალებით გაუმართონ ბრძოლა იაპონიის კაპიტალისტურ კლასებს. ეჭვი არ არის, რომ ეს მიზან შეწონილი გზაა, სწორი, რომელსაც ჩვენ ურჩევდით კაპიტალიზმის უღლის ქვეშ მკვნესარე ყველა ქვეყნის მუშებს და მათ რიცხვში იაპონიის მუშებსაც და რამდენათ იაპონიის სოციალური ცხოვრების ობიექტიური პირობები ამბობენ, რომ კლასობრივი წინააღმდეგობანი უაღრესათა გამწვავებულია, და რომ იაპონიის პროლეტარიატის კლასიური შეგნება იზრდება, ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იაპონიის პროლეტარიატი მალე გამონახავს ხარას მთავრობისაგან და კაპიტალიზმის ხუნდებისაგანაც განსათავისუფლებელ გზებს.

ვლ. ვილენსკი (სიბირიაკოვი)

„იზვესტია“ № 217. 30 სექტემბერი 1920 წ.

## მიწის საკითხის თეზისები, მიღებული თურქესთანის რესპუბლიკის საბჭოების მეცხრე ყრილობაზე.

თურქესთანის რესპუბლიკის საბჭოების მეცხრე ყრილობამ მიიღო შემდეგი თეზისები მიწის საკითხში:

1. ყველა მიწები და წყლები თურქესთანის რესპუბლიკაში, ვისიც განკარგულებაშიც უნდა იყონ, ცხადდება სახელმწიფოს საკუთრებად.

2. ყველა მიწები, მიწათ-მოქმედების კომისარიატის მიწების გამოკლებით, ნაწილდება: პირველად ყოვლისა შრომის „ჩერიკერების“ და სასოფლო-სამეურნეო „მარდეკერების“ შორის, შემდეგ მშრომელ უმიწო „დეხკანებს“ შორის, უკანასკნელად კი საბჭოების ორგანიზაციულ მეურნეობას, კომუნებს, არტელებს და ამხანაგობებს; ამას გარდა მიღებულია ზომები, რომ უკანასკნელები ყოველი საჭირო ინვენტარით დაკმაყოფილებულ იქნან.

შენიშვნა: მიწები, რომლებიც არიან საბჭოთა დაწესებულებების ხმარებაში, რჩებათ მათ, ვინაიდან ისინი საზოგადოებრივ მიზნის მატარებელნი არიან.

3. მიწები, რომლებიც მიწათმოქმედების კომისარიატის ხმარებაში არის და არ აღემატებიან შრომის ნორმას, რჩებათ მათ, აგრეთვე მშრომელ მიწათმოხმარებლებს რჩებათ უფლება ისარგებლონ მემკვიდრეობით, იმ მიწით, რომელიც მათ აქვს გადაცემული.

4. ყიდვა, გაყიდვა, დაგირავება და იჯარა მიწების და წყლების [illegible] აკრძალულია და ასეთი დანაშაული ჩაითვლება, როგორც [illegible] დანაშაული.

5. არამშრომელთა „მამულები“, რომლებიც წარმოადგენენ განსაკუთრებულ კულტურულ მეურნეობას, არ განაწილდებიან და ორგანიზაციის ხელში გადადიან, რომ შიგ საბჭოთა ან კოლექტიური მეურნეობა მოაწყონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. მიწით სარგებლობის უფლება ყველას ეძლევა, სასოფლო-სამეურნეო დექსანს, თუ ისინი პირობას დასდებენ, რომ მიწას უკეთესად დაამუშავებენ.

7. დაქირავებულ შრომის მოხმარა ყოვლად დაუშვებელია. მხოლოდ იმ განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ ოჯახში არ არის მუშა ხელი და არც ცოცხალი და არც უსულო ინვენტარი, რასაც სახელმწიფო აძლევს ასეთ ოჯახებს. დაქირავებული შრომა დასაშვებია კიდევ იმ შემთხვევაში, როდესაც ამუშავებენ კულტურულ მცენარეებს: ბამბას, ბრინჯს, თუთუნს და სხ. რომლის დამუშავება დაუქირავებელ შრომის გარეშე არ შეიძლება.

8. იმ ადგილებში, სადაც მიწათმფლობელობა საგვარეულო საფუძვლებზეა დამყარებული, უფლება შრომის წილხვედრ ნაჭერზე აქვს ყველას, თუ გინდ ის არ იყოს ამგვარის წევრი, მაგრამ თუ ცხოვრობს ამ გვარეულობაში არა ნაკლებ ერთი წელიწადს.

9. „ვაკუფური“ მიწებს იყენებენ კულტურულ-განმანათლებელ მიზნით ან და მიწის საერთო მოხმარების საფუძვლების მიხედვით ახალი წესით დამუშავებულ უნდა იქნას.

10. მიწების წართმევის ტენდენციების აღმოსაფხვრელად, რუსების სოფლები, რომლებიც კოლონიებათ არიან, უფლებრივათ თანასწორდებიან ადგილობრივ მცხოვრებლებთან მიწის და წყლის მოხმარების საქმეში.

11. ყველა ზედმეტი მიწები, გარდა იმისა, რაც ნორმით იქნება მიცემული გადმოსახლებულებისათვის, ჩამოერთმეულია და გადადის მკვიდრ მცხოვრებთა განკარგულებაში დასამუშავებლად.

12. ძირითადი მცხოვრებლები, რომლებიც მეფის მთავრობის დროს განიცდიდენ დევნას აჯანყებისათვის, უბრუნდებიან თავიანთ ძველ ადგილებს და უზრუნველყოფილდებიან იმ მიწის „ნადელებით“ რომლებიც ხელში ჩაიგდეს გადმოსახლებულმა რუსებმა 1916—1918 წლებში; ეს მიწები ნორმის ზევით ჩამოერთმევათ გადმოსახლებულებს.

13. ყოველგვარი გადმოსახლება თურქესთანის ტერიტორიაზე გარედან და აგრეთვე ადგილობრივ მიწების დაკავება სასტიკად აკრძალულია.

14. მომთაბარე მცხოვრებლებს, თუ სურთ მათ გადავიდენ მობინადრე მცხოვრებლებათ, ურიგდებათ მიწები საერთო საფუძვლების მიხედვით, მესამე პუნქტის თანახმად.

15. ირიზმიური ტერიტორიები და საბალახო ადგილები იყოფა პროპორციონალურად ყოველ საზოგადოებებს შორის ჯოგის რაოდენობის მიხედვით, მაგრამ ეს ჩამონაჭრები უნდა იყოს არა ნაკლები ნორმალურ მეჯოგეობის დასაკმაყოფილებლად.

16. მომთაბარე მცხოვრებლები უზრუნველყოფილდებიან ჯოგის-გადასაყვან გზებით.

17. წყლის სარგებლობა უნდა იქნეს შეფარდებული მიწის სარგებლობასთან, ნამდვილ მოთხოვნილების თანახმად.

წყლით სარგებლობის უფლება წყდება მიწის სარგებლობის აღკრძალვასთან ერთად.

18. უზრუნველყოფა და შეკეთება ჰიდრო-ტეხნიკურ მოწყობილობებისა ევალება სახელმწიფოს, დანარჩენი წყლის ქსელის მოწყობა ევალება წყლის მომხმარებლებს.

## საქართველოს კომუნისტურ პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს

„ახ. კომ.“, როგორც მუშათა კლასის ორგანო, მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის დანიშნულებას სავსებით ნაყოფიერათ, როცა ის რაც შეიძლება უფრო მჭიდროთ იქნება დაკავშირებული მუშების და გლეხების ცხოვრებასთან, როცა ის სინამდვილით და სისწორით გააშუქებს ამ ცხოვრებას.

ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, იქნება ეს ქალაქის კომიტეტი თუ საგურბენიო, სამაზრო ან სასოფლო კომიტეტი, ან უბრალო სოფლის ორგანიზაცია იყოლიოს ერთი ან რამდენიმე პასუხისმგებელი კორესპონდენტი, რომელსაც დავალებული ექნება სისტემატიურათ უგზავნოს „ახალი კომ.“ რედაქციას ყოველგვარი ცნობები, მასალები და სხვა მუშათა და გლეხთა ცხოვრების შესახებ. ეს ცნობები და მასალები რაც შეიძლება მიუდგომლათ, ობიექტიურათ უნდა იყოს შედგენილი, რის პასუხისმგებლობა თვით ორგანიზაციას აწევება.

**ცენტრალური კომიტეტი.**

# ბიულეტენი პრესბიუროსი
## რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

(რადიოთი მოსკოვიდან, ნაუენიდან, ლიონიდან და სხვ. და პირდაპირი მავთულით კავკავიდან და ბაქოდან).

## საზღვარ-გარეთ

**ჩვენი ტყვეები პოლონეთში**

**მოსკოვი,** 11 ნოემბ. ვარშავაში შეუდგა მუშაობას თანახმათ საზავო ხელშეკრულებისა სამხედრო და სამოქალაქო ტყვეების დამხმარე კომისია. პოლონეთის კამისიამ დაადგინა მიიღოს ყოველგვარი ზომები ყველა ტყვეების სამშობლოში დასაბრუნებლათ.

**მსოფლიო მაშტაბით ფულის ხმარების საქმის არევ-დარევა**

**მოსკოვი,** 5 ნოემბ. ეხლანდელ დროში ყველა ქვეყნები განიცდიან ფულის ინფლუენციას (ქაღალდი ფულების ზედმეტ დამზადებით) ამის მიზეზია ეხლანდელი ეკონომიური, ფინანსიური და სოციალური კრიზისი მთელ მსოფლიო მეურნეობაში.

ფულის ხმარების საქმის არევ დარევის ნიშნები შემდეგნაირია: 1914 წლ-[illegible] -ან შედარებით 1920 წელში ქაღალ[illegible] ფულის ხმარება შემდეგი პროცენტით გაიზარდა: შეერთებულ შტატებში—190; ისპანიაში—209; ინგლისში—250; დანიაში—280; იაპონიაში—325; ჰოლანდიაში—325; შვეიცარიაში—327; ნორვეგიაში—416; ბელგიაში—491; საფრანგეთში—696; იტალიაში—891 და გერმანიაში კი 2603 პროცენტით.

თუ რომ ავიღებთ 14 მსხვილ საემისიო ბანკებს შეერთებულ შტატებით, მაგრამ რუსეთის გამოკლებით, დავინახავთ, რომ 1914 წლის მაისიდან 1920 წლის ივნისამდის ქაღალდის ფულის ხმარება გაიზარდა 88 მილიონ, 771 ათას გირვანქა სტერლინგიდან—6 მილიარდ, 694 მილიონ, 997 ათას გირვანქა სტერლინგამდის. ოქროს ხმარების რაოდენობა კი—421 მილიონ, 512 ათას გირვანქა სტერლინგიდან—999 მილიონ, 256 ათას გირვანქა სტერლინგამდის ე. ი სულ ორჯერ მეტათ იმ დროს, როდესაც ქაღალდის ფულის ხმარება გაიზარდა შვიდჯერ.

**კომუნიზმის ზრდა ჩეხო-სლოვაკიაში.**

**პეტერბურგი,** 4 ნოემბ. ესერი ბრუშიპი გაზ. „ვოლია როსიაში“ ათავსებს ეჩეხო-სლოვაკიის სოციალ დემოკრატიის კრიზისის“ სათაურით სტატიას, სადაც ლაპარაკობს ჩეხო-სლოვაკიაში კომუნიზმის იდეების ზრდის შესახებ. ის სწერს: „ყოველ ჩეხელისათვის ნათელია, რომ ჩეხიის რესპუბლიკის მდგომარეობა მაშინ განმტკიცდება, როდესაც ის დაეყრდნობა ძლიერ რუსეთს. ჯერ კიდევ ავსტრიის ბატონობის დროს, ჩეხელები იმედის თვალით შესცქეროდენ აღმოსავლეთს და მისგან მოელოდენ ხსნას. ბოლშევიზმი ჩეხების მუშათა მასსებში იმიტომ არის პოპულიარული, რომ ის (ბოლშევიზმი) მოვიდა რუსეთიდან.

აი, ბოლშევიკები ერთი-მეორეზე ამარცხებენ რეაქციონურ გენერლებს—ერთი-მეორეზე ილუპებიან კოლჩაკი, იუდენიჩი, დენიკინი და ჩეხის მუშები ალტაცებით ეგებებიან და ესალმებიან წითელ არმიის გამარჯვებას. იქამდის მემარჯვენე წრეებიც კი, გარდა კრამარჟის წრისა, თავმდაბლად ექიდებიან ბოლშევიკებს. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ რუსეთი თავის შინაური პოლიტიკით ანხორციელებენ რუსეთის გაერთიანების საქმეს.

შემდეგ იფეთქა პოლონეთ-რუსეთის ომმა. ამ დროს თქვენ ჩეხიაში ვერ ნახავდით ვერც ერთ-კაცს, რომელიც არ ყოფილიყო რუსეთის მხარეზე. პროლეტარიატის წრეებში ბოლშევიკების გამარჯვება პოლონელებთან აღტაცებას იწვევდა. რუსეთი გადაიქცა სოციალისტურ სასწაულების ქვეყნათ, ბოლშევიზმი კი გადიქცა რელიგიათ, რომელსაც ექსტაზამდის მიყავს მშრომელი ხალხი. რუსეთში იმყოფება ახლა [illegible] ერთი საუკეთესო მწერალი—ოლბრეხტი, რომელიც უკვე კომუნისტი გახდა.

გაზ. „პრავო ლიდუ“ გაგზავნა რუსეთში მწერალი, რომელსაც იგივე დაემართა, რაც კაშენს და ფროსარს. რუსეთიდან დაბრუნებისას მწერალი, იმის მაგიერ, რომ მის გამგზავნ გაზეთ „პრავო ლიდუმის“ რედაქციაში მისულიყო—პირდაპირ კლოდინში წავიდა, სადაც ბოლშევიკურ გაზეთ „სვაბოდაში“ დაიწყო წერილების წერა შემდეგი სათაურით: „სიმართლე საბჭოთა რუსეთის შესახებ“.

**საფრანგეთის საოკუპაციო კორპუსის ახალი მთავარ-სარდალი სტამბოლში.**

**სტამბოლი,** 26 ნოემბერი. „ბოსფორი“ იტყობინება, რომ გენერალი შარპი დანიშნულია საფრანგეთის საოკუპაციო ჯარების სარდლათ სტამბოლში.

გენერალი პრიუ დანიშნულია, ამავე ჯარების ქვეითა ნაწილების სარდლათ.

**ქაღალდის ნიშნების შეტანა და გამოტანა.**

**სტამბოლი,** 8 ნოემბერი. საბერძნეთის მთავრობამ გასცა ბრძანება, რომელშიაც აეკრძალა თავის ქვეყნიდან ოქროს და ვერცხლის გატანა, აგრეთვე შემოტანა მანეთების მარკების და სხ.

**რუმინიის პარლამენტის გახსნა.**

**ადესა,** 22 ნოემბერი. აზერესკის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკრეტი პარლამენტის გახსნისა 28 ნოემბერს ა. წ.

**შეთქმულობა რუმინიის წინაამდეგ.**

**ადესა,** 22 ნოემბერი. გაზეთი „ვიტორუ“ იტყობინება, რომ ტრანსილვანიაში ქ. ტურეში აღმოაჩინეს უნგრელების შეთქმულება რუმინიის მთავრობის წინაამდეგ.

**საბერძნეთის პლებისციტი.**

**ლიონი,** 22 ნოემბერი. ათინიდან იტყობინებიან, რომ მეფე კონსტანტინის დაბრუნების გამო პლებისციტი მოხდება 28 ნოემბერს.

**გენერალი ფრანშე დ, ესპერეი ტუნისში.**

**ლიონი,** 22 ნოემ. გენერალი ფრანშე დ, ესპერეი ჩავიდა ტუნისში და მიიღო მოკავშირეების აღმოსავლეთ არმიის სარდლობა.

**„ინგლისის სამეფო დალპა.“**

**მოსკოვი,** 22 ნოემ. პეტროგრადის „პრავდა“ წერილში—„ინგლისის სამეფო დალპა“—სწერს, რომ ინგლისის ფინანსიური მდგომარეობა ძალიან კრიტიკულია: ინგლისმა დახარჯა რა აურაცხელი ქონება ბოლშევიკებთან ბრძოლაში და თავის ბატონობის შესანარჩუნებლათ აღმოსავლეთში, ჯიბეები დაუცარიელდა. ბურჟუაზია შეიპყრო ბოლშევიზმის შიშმა. მუშების ყოველ უმნიშვნელო მოთხოვნილებაში ბურჟუაზიას ელანდება ბოლშევიზმის აჩრდილი. ლოიდ-ჯორჯი,—ეს დახელოვნებული პოლიტიკოსი ფიქრობს, რომ პატარა დათმობებით ის ჩაკლავს მუშებში კომუნიზმის იდეას. უმნიშვნელო რეფორმებით თანამედროვე რევოლიუციონურ ეპოქაში მუშათა [illegible] კლასი არ დაკმაყოფილდება.

ვერც მათრახებით და ვერც ტკბილეულობით ვერ შეაჩერებთ წითელ მოზვერს. მალე ის წალეკს ინგლისის დამპალ საზოგადოებას.“

**საბჭოთა ნაშთები.**

**მოსკოვი,** 11 ნოემბერი. გენ. კლიუევი ფინლიანდიაში იმყოფება და ჰკრებს აფიცრებს ვრანგელთან გასაგზავნათ. იგი ფინლიანდიაში ყირიმის წარმომადგენელია. ფინლიანდიის მთავრობა აცხადებს, რომ კლიუევი ფინლიანდიაში იმყოფება, როგორც გენერალ მილლერის წარმომადგენელი. იგი მეთაურობას უწევს ჩრდილოეთის რუსეთის არმიას, რომელიც წინათ არხანგელსკიდან გაიქცა.

**საფრანგეთის ბურჟუაზიის ახალი იმედი**

**მოსკოვი,** 11 ნოემ. ინგლისის გაზეთები იუწყებიან, რომ საფრანგეთის პოლიტიკა ვრანგელის მიმართ იცვლება, საფრანგეთის წარმომადგენელმა ყირიმში—მარტელმა განკარგულება მიიღო გააბას კავშირი ესერებთან, რომლებსაც საფრანგეთის ბურჟუაზია ანტიბოლშევიკურ ძალათ რაცხავს.

**დანიის კომუნისტური პარტია.**

**მოსკოვი,** 11 ნოემბ. დანიის მემარცხენე სოციალისტების პარტიის ყრილობამ ერთხმათ მიიღო პროლეტარიატის დიქტატურისთვის ენერგიული ბრძოლის გადამწყვეტი პირობა. პარტიამ სახელათ „დანიის კომუნისტური პარტია“ დაირქვა“.

**შრომის ბეგარა ბულგარეთში.**

**მოსკოვი,** 11 ნოემბ. ბულგარეთში საყოველთაო შრომის ბეგარა შემოიღეს. 20 წლიდან 55 წლამდის ყველა გაიყვანეს და ხუთი დღე ამუშავეს.

**დეკრეტი გაფიცვების შესახებ.**

**ნაუენი,** 11 ნოემბ. რესპუბლიკის-პრეზიდენტმა და საიმპერიო კანცლერმა დეკრეტი გამოაქვეყნეს, რომლის ძალითაც პირველ საჭიროების საგნების დამზადებელ დარგებში აიკრძალება გაფიცვების მოწყობა. გაფიცვის გამოცხადება მხოლოთ სამი დღის შემდეგ შეიძლება, როცა გაფიცვის შესახებ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოაქვთ. ვინც ამ დეკრეტს დაარღვევს, იგი 3 თვის ციხით დაისჯება ან 5-დან 15 ათასი მარკით დაჯარიმებულ იქნება. დეკრეტი შინაგან საქმეთა მინისტრს ნდობით აღჭურვილათ რაცხს მიიღოს აუცილებელი ადმინისტრაციული ზომები, რომ პირველ საჭიროების სამრეწველო დარგებში მუშაობა გაგრძელდეს.

ბერლინის ქალაქის მუშების გაფიცვები უცვლელათ მიმდინარეობს. კომუნისტური გაზეთები და კედლებზე გაკრული ფურცლები საყოველთაო გაფიცვებისკენ მოუწოდებენ.

**ჩიჩერინის რადიო სომხეთის შესახებ.**

**მოსკოვი,** 11 ნოემბერი. (ძალიან საჩქაროთ) ლონდონი, კრასინს. საბჭოთა რუსეთი შუამდგომლობას კისრულობს ოსმალეთსა და სომხეთს შორის. ოსმალთა ნაციონალისტების გამარჯვების შემდეგ სომხეთის მდგომარეობა მართლაც კრიტიკულია და რუსეთის შუამდგომლობა დროს შესაფერია. საბჭოთა რუსეთს არასდროს არ განუზრახავს ნახიჩევანის, ჯულფის, ზანგეზურის და ყარაბაღის დაკავება. რუსეთის ჯარებმა ეს ადგილები მხოლოდ მანამ დაიკავეს, სანამ მათი საკითხი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არ გადაწყდებოდა. ორივე ეს სახელმწიფოები ერთმანეთს ეცილებიან ამ ადგილებზე. ნახიჩევანში მუსულმანები მოსახლეობენ, ზანგეზურში არეული მოსახლეობაა, რაც საკითხს ამწვავებს.

**ჩიჩერინი.**

**ყარამურსალის ევაკუაცია ბერძნების მიერ.**

**სტამბოლი,** 8 ნოემბერი. „ვაკიტი“ იუწყება, რომ საბერძნეთის ჯარების მთავარ სარდალმა მცხოვრებლებისადმი ბრძანებაში გასცა ქალ. ყარამურსალის ევაკუაციისა.

**შაქრის წარმოება.**

**მოსკოვი,** 5 ნოემბერი. 1919—1920 წლებში წარსულ წლებთან შედარებით 18,05 მილიონი ცენტნერით დაეცა, ე. ი. 24,3 პროც. ეს დაცემა უმთავრესათ რუსეთის და გერმანიის საერთოთ ევროპიდან მოწყვეტით აიხსნება. გერმანიაში შაქრის წარმოება დასცა უამინდობამ, მუშა ხელის შემცირებამ და სათბობი მასალის უქონლობამ (აქ დაამზადეს უკანასკნელ წლებში 18 მილიონი ცენტნერი შაქარი წინაამდეგ 30 მილიონისა).

1919—1920 წლებში მსოფლიო [illegible] ზარზე დაახლოვებით 2,389 მილიონი ცენტნერით, ე. ი. 72% ნაკლები შაქარი გამოდის, ვიდრე 1918—1919 წლებში გამოდიოდა.

—მიმდინარე წელში შაქრის ჭარხლით დათესილი მინდვრების სივრცე ევროპაში 1 მილიონ ჰექტარს აღემატება, 1919 წელს—კი 900,000 ჰექტარს უდრიდა (ურუსეთოთ), 1913 წელში 22 მილიონი ჰექტარს უდრიდა; მასთან—728 ჰექტარი რუსეთში იყო დათესილი). ამ სახით შაქრის ჭარხლით დათესილი მინდვრების სივრცე უკანასკნელ წელს ერთი მესამედით ნაკლებია, ვიდრე 1913 წელს იყო.

## საფრანგეთში.

**მოსკოვი,** 22 ნოემბ. საფრანგეთში მთავრობისადმი მტრული განწყობილება ღვივდება. საფრანგეთის ხალხს ჰპირდებოდენ, რომ გამარჯვების შემდეგ მილიტარიზმს მოსპობთო და ომის გამო გაწეულ ხარჯებს გერმანიიდან ავინაზღაურებთო. მაგრამ გერმანია არ იხდის სამხედრო ხარჯებს და სამხედრო ბეგარაც დღემდის არსებობს. დიდი ფასები ქვა-ნახშირზე, რომელიც საფრანგეთში ინგლისიდან შემოაქვთ, უფრო და უფრო აღვივებს ხალხის აღშფოთებას, უკმაყოფილებას.

**ბელგიის კომუნისტური პარტია.**

**მოსკოვი,** 22 ნოემბერი. ბელგიის კომუნისტური პარტია სრულიად ჩამოყალიბდა, როგორც სექცია მესამე ინტერნაცილისა.

## საბერძნეთში.

**ლიონი,** 23 ნოემბერი. ვენიზელოსელების გაზეთები ფრთხილი პოლიტიკას აწარმოებენ. ისინი საბერძნეთის ინტერესებს პირადი და პარტიული ინტერესებზე უფრო მაღლა აყენებენ. ისინი მთავრობას მხარის დაჭერას აღუთქვავენ ვენიზელოსის მიერ დაწყებულ საბერძნეთის აყვავების საქმეში.

**საერთაშორისო ურთიერთობათაგანი.**

**ლიონი,** 23 ნოემბერი. ისპანიის 14 სახელმწიფოს დელეგატებმა მოითხოვეს, როგორც პარიჟიდან იტყობინებიან, რომ ისპანური ენაც იცნონ ერთა ლიგის ნაციონალურ ენათ; როგორიცაა ფრანგული და ინგლისური. იაპონიის დელეგატებმა—კი მოითხოვეს, რომ ლიგაში ოფიციალურ ენათ—ესპერანტო იცნონ.

**მხტუნავი ავტომობილი.**

**ლონდონი,** 14 ნოემბერი. უაიტსტში ლონდონის დასავლეთ ნაწილში სადემონსტრაციოთ გამოიყვანეს „მხტუნავი ავტომობილი“. შოფერმა თავისი 22 მანქანა დაუბრკოლებლათ გადაახტუნა 2 ერთი მესამედი არშინის სიმაღლეზე და წყნარათ განაგრძო გზა.

**ვილსონი სდუმს.**

**ნიუ-იორკი,** 12 ნოემბ[illegible] [illegible] დაეცა დუმილი. ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ მისი პარტიის არჩევნებზე დამარცხება მან უკომენტარიოთ მიიღო. თუ რა ზედგავლენა მოახდინა ამ მოვლენამ მასზე, მას არც ერთ თეთრი სახლის მოხელეებისთვის არ გაუმხელია და არც არავითარი მოწერილობა არ გაუგზავნია კანდიდატებისთვის.

**ხალხთა ლიგაში მიღების პირობები.**

**ლიონი,** 23 ნოემბ. ხალხთა ლიგის მეხუთე კამისიამ, რომელიც ამორჩეულია ხალხთა ლიგაში შესასვლელ პირობების გამოსამუშავებლად, მიიღო, როგორც გაზეთ „მატენში“ ვივანი სწერს შემდეგი 4 პირობა: 1) ყოველი სახელმწიფო, რომელსაც სურს გახდეს წევრი ხალხთა ლიგის, უნდა შეასრულოს მასზე დავალებული ყველა საერთაშორისო ვალდებულებანი. 2) მას უნდა ჰყავდეს პასუხისმგებელი მთავრობა, რომელსაც შეეძლება ხალხის სახელით ილაპარაკოს და დადვას კარგი ხელშეკრულებები. 3) ამ სახელმწიფოს შინაური ორგანიზაცია უნდა იყოს ისეთი, რომ ხალხთა ლიგა იყოს დარწმუნებული, რომ ეს სახელმწიფო მომავალშიაც შეასრულებს ხელშეკრულობის ყველა მუხლებს. 4) სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ტერიტორია და საზღვრები და მისი მცხოვრებლები უნდა წარმოადგენდენ ნაციონალურ ერთეულს.

**„ორ სკამ შუა ინტერნაციონალი“.**

**მოსკოვი,** 22 ნოემბერი. პეტროგრადის „იზვესტიის“ მოწინავე სწერს:

„მსოფლიო პროლეტარიატის რევოლიუციონური ნაწილი მიილტვის მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ. ბურჟუაზიის აშკარა აგენტები, რომლებიც მხარს უჭერენ მსოფლიო იმპერიალიზმის პოლიტიკას, თავმოყრილი არიან მეორე ინტერნაციონალის ქვეშ. მაგრამ არის კიდევ ერთი შუათანა წრე, რომლებიც იმის გამო, რომ მუშებმა ზიზღი გამოუცხადეს მეორე ინტერნაციონალს, ჩასცილდენ მას, მაგრამ არ შესულან მესამე ინტერნაციონალში. ეს შუათანა წრეები, როგორიცაა მაგალითად ჩვენი რუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო ამხანაგებო! „ახ. კომუნისტი“ გამოდის „ბრძოლის“ მაგიერ. ის მუშების და გლეხების გაზეთია; როგორც „ბრძოლა“, ისე „ახ. კომუნისტი“ დაიცავს მთელი მშრომელი მასსის ყველა დაჩაგრულთა და შევიწროებულთა ინტერესებს. აშკარაა, რომ თავისი ორგანო თვით მუშებმა და გლეხებმა უნდა ასაზრდოონ, თვით მუშებმა და გლეხებმა უნდა მისცენ მას არსებობის საშუალებანი.

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! დაეხმარეთ თქვენი არსებითი ინტერესების დამცველ გაზეთს „ახ. კომუნისტს“ ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება. მიიღეთ ყოველგვარი ზომები მის გასავრცელებლათ ფართო მასსაში, გამართეთ ხელის მოწერა მის სასარგებლოთ. ამით თქვენ უზრუნველყოფთ მის არსებობას.

**საქართვ. კომუნისტ. ორგანიზაციების დროებ. ცენტრალური კომიტეტი.**

---

სი მენშევიკები მარტოვის მეთაურობით, საზღვარ გარეთ ბ. კრისპიენი და კომ. ყიდიან მუშათა კლასის ინტერესებს.

27-28 ნოემბერს ეს მუშათა კლასის პროვაკატორები იკრიბებიან ბერნში. იქ ისინი იმსჯელებენ იმაზე, თუ როგორ გამოვიდენ ციხიდან და რა ზომებით ებრძოლონ მათთვის აუტანელ მესამე ინტერნაციონალს. ეს კუდაძუები ცდილობდენ შექმნან ახალი ინტერნაციონალი, მუშათა კლასის გამყიდველი და მომატყუებელი. ტყუილად ფიქრობენ მთელი ქვეყნის მენშევიკები იხსნან თავიანთი მდგომარეობა. რუს მენშევიკების ბედი, რომლებიც არიან გაძევნილი მუშათა კლასის მიერ თავის წრიდან— არის ბედი ყველა ორ სკამზე მჯდომთა.

**პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო კონგრესი.**

**მოსკოვი,** 22 ნოემ. პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო კონგრესი შესდგება ლონდონში 22 ნოემბერს. დღიური წესრიგი: 1) საერთაშორისო ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ, 2) სოციალიზმის საკითხები, 3) ვალიუტა, 4) ნედლი მასალის საერთაშორისო განაწილება.

## ინგლისში.

**მოსკოვი,** 22 ნოემბ. ინგლისის შეთანხმებლების მეთაური, ტომასი თავის ბროშიურაში სწერს, რომ ინგლისის მეფე, თავის თავს იჭერს როგორც კონსტიტუციონალური მონარქი. „ინგლისის მუშების რევოლიუციონურმა შტაბმა, „მოქმედების საბჭო“-მ გამოუშვა მანიფესტი პროვინციელ ორგანიზაციების მიმართ, სადაც ლაპარაკია, რომ ბრიტანიის მუშებს უნდათ არა მარტო სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან, არამედ ნამდვილი მტკიცე ზავი მასთანო.

**მერ გაუძლეს**

**მოსკოვი,** 22 ნოემ. ერიხის მთავრობა ფინლიანდიაში გადადგა. მთავრობის გადადგომის მთავარი მიზეზები არის ფინლიანდიის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა და ამნისტიის გამოუცხადებლობა მთავრობის მიერ.

**იტალია-სერბიის შეთანხმება**

**ლიონი,** 12 ნოემ. (რადიო) ს.-მარგერიტიდან იტყობინებიან, რომ იტალიის და სამხრეთ სლავიის დელეგატები შეთანხმდენ შემდეგ საფუძველზე: 1) ისტრიაში მიღებულია ის საზღვრები, რომელიც დაადგინა ლონდონის ხელშეკრულებამ. 2) ფიუმე ღებულობს დამოუკიდებლობას. 3) ზარა შედის იტალიის განკარგულებაში. 4) კუნძულები: კორზო, ლიუსინი და ლაგოსტა უერთდებიან იტალიას.

**დახმარება წითელ არმიელებს.**

**მოსკოვი,** 21 ნოემბერი. ტამბოვში წითელ არმიელებისადმი „ზურგის დახმარების დღე“. მოაწყვეს. მოეწყო მუშა ქალთა „სუბბოტნიკი“ საცვლების დასაკერებლათ. სწარმოებს შეუდარებელი „ვოსკრესნიკი“ ყაზარმების და საავადმყოფოების გასაწმენდათ და აგრეთვე შეშების დასალაგებელათ ყაზარმებში.

**შრომის ფრონტზე.**

**მოსკოვი,** 21 ნოემბერი. სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო ზომები კანაფის და სელის სათეს მინდვრების გასაფართოვებლათ. იმ სოფლებისთვის, რომლებიც შემოიღებენ მინდორ ველების შეცვლითი თესვის წესს კანაფისა და სელის მოყვანაში, მიღებული იქნება ზომები დაეხმარონ მეურნეთ მიწის დამუშავებაში.

# საბჭოთა რუსეთში

**ამხ. ჩიჩერინის მიმართვა ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მუშებისადმი.**

**მოსკოვი,** 19 ნოემბ. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა მოკავშირეთა ქვეყნების მუშებს მოწოდებით მიმართა. იგი მოუწოდებს მუშებს ხელი შეუშალონ თავიანთ მთავრობებს ზათუმის დაკავებაში, ვინაიდან ანტანტის ასეთი ნაბიჯი მოასწავებს სისხლის შღვრელ ახალ ომს და ახალ მსხვერპლს მუშებისა და გლეხებისაგან.

**მუშათა მოძრაობა ისპანიაში.**

**ლიონი,** 21 ნოემბ. პერეპინიანიდან იტყობინებიან, რომ ტარაგონში ჩრდილოეთის რკინის გზის მუშები გაიფიცნენ. მათი თანაგრძნობის ნიშნათ ტარაგონის შაქრის ფაბრიკების 2 ათასი მუშა გაიფიცა.

**ბრანდესი საბჭოთა რუსეთზე.**

**მოსკოვი,** 21 ნოემ. ნიჭიერმა კრიტიკოსმა და მთელ მსოფლიოში ცნობილმა ლიტერატორმა ბრანდესმა განაცხადა, რომ ის ჯარები, რომლებსაც ყოველ მხრივ ეხმარებოდა ანტანტა და ესევდა საბჭოთა რუსეთს, მის მთავრობის დასამხობათ, სასტიკად დამარცხდენ. „იმ დროს, როდესაც ინგლისის და საფრანგეთის მთავრობები იჩენენ გაიძვერობას, რომლის ქვეშ იმალება სისუსტე, რუსეთს უდგას სათავეში შეურყეველი მთავრობა. არც ერთ სახელმწიფოს სათავეში არა დგას ისეთი გენია, როგორიცაა ტროცკი. რეაქცია უფრთხის რევოლიუციონურ იდეების გავრცელებას აზიაში და ევროპაში, მაგრამ იდეის წინააღმდეგ ჯარების გაგზავნა უშედეგოა. იმ ბრწყინვალე დღეს, როდესაც საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის გლეხები და პროლეტარები გაიგებენ, რომ ევროპის უბედურების მიზეზი საერთაშორისო შოვინიზმია, მაშინ ბრწყინვალე მზის სხივები გაანათებენ იმ ქაოსს, რომელშიაც ჩვენ დღეს ვიმყოფებით“.

**ავსტრიის კომუნისტების რეზოლიუცია.**

**მოსკოვი,** 21 ნოემბერი. ავსტრიის კომუნისტურ პარტიის რეზოლიუციაში ნათქვამია:

„მიუხედავათ იმისა, რომ სოციალ-გამცემლებმა გააძლიერეს ტერორი, ჩვენი ებლანდელი დანიშნულებაა გავაძლიეროთ ჩვენი მუშაობა მუშათა საბჭოების დასაარსებლათ.

ჩვენი ოფიციალური სოციალ-დემოკრატები ბევრგვარ ხერხს მიმართვენ ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ მაინც მხნეთ, მტკიცეთ ვიქადაგებთ ყოველგან საბჭოთა მთავრობის იდეას.

**„პოლიტიკური მრწამსი“**

**მოსკოვი,** 31 ოქტ. სახალხო მასწავლებელი ქალი კოპენჰაგენიდან დანიელი კომუნისტი-მარიამ ნილსენი, რომელიც დაესწრო მე-3 ინტერნაციონალის სიეზდს, დაითხოვეს სამსახურიდან თავის პოლიტიკურ მრწამსისათვის.

**პროფესიონალურ მოძრაობის მუშაკთა კურსები.**

**მოსკოვი,** 5 ნოემბ. სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ საბჭოსთან გაიხსნა შკოლა, რომლის მიზანია პროფესიონალურ მოძრაობის მუშაკთა მომზადება.

შკოლაში უკვე 250 კურსელია, რომლებიც გაგზავნა კავშირებმა.

**გემების შეკეთება.**

**მოსკოვი,** 6 ნოემბ. შრომის საბჭოს დადგენილებით გემების შეკეთება რესპუბლიკის ერთად-ერთ მიუცილებელ საქმეთ არის მიჩნეული. ამიტომ მახლობელ დროში უნდა მოხდეს სასწრაფო შეკეთება ყველა დაზიანებულ გემების

**პეტერბურგში შეშის მიტანა.**

**პეტროგრადი,** 4 ნოემბ. პეტროგრადში წყლით უნდა მიტანილიყო 250 ათასი კუბიკური საჟენი შეშა. 5 ოქტომბრამდის ეს პროგრამა უკვე შესრულებულია. მას შემდეგ უკვე 200 ათასი კუბიკურ საჟენით მეტია მიტანილი შეშა პეტროგრადში.

წასულ წელს 5 ოქტომბერს პეტროგრადში მიტანილი იყო მხოლოდ 155 ათასი კუბი შეშა.

# საბჭოთა აზერბეიჯანში

**კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა გემებზე**

**ბაქო,** 15 ნოემ. გემებზე შკოლების მოწყობა უკვე დამთავრდა. სექტემბრის თვეში გემებზე მოეწყო ხუთი შკოლა. 7 [illegible] 1 ოქტომბრამდე სულ გემებზე გახსნილია 174 შკოლა. აქ სწავლობენ სულ 679 უსწავლელნი და 2500-დის მცირედი ნასწავლნი. ამ შკოლებში 26 შკოლა მუსულმანურია, სადაც სწავლობენ 130 უსწავლელი.

**სპარსეთთან საქონლის გაცვლა**

**ბაქო,** 10 ნოემ. სპარსეთთან სწარმოებს საქონლის გაცვლა-გამოცვლა. აზერბეიჯანიდან მიაქვთ შუშეულობა. სამაგიეროთ სპარსეთის ვაჭრებს შემოაქვთ ბრინჯი, მარილი, ქერი, ფართლეულობა და სხვა.

**აღმოსავლეთის განყოფილების გახსნა**

**ბაქო,** 10 ნოემ. მიმდინარე წელს ბაქოს უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტთან იხსნება აღმოსავლეთის ენების განყოფილება.

**კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ბაილოვის ციხეში.**

**ბაქო,** 10 ნოემბ. კულტ.-განმანათლებელი წრე ბაილოვის ციხეში ხუთი სექციიდან შესდგება: სამკითხველოს, სასკოლო, სათეატრო და სააგიტაციო. ყველა სექციის სათავეში რომელიმე პატიმარია. კულტურულ-განმანათლებელი მუშაობას საერთოდ კულტურ განათლების კომისარი ხელმძღვანელობს.

ციხის ბიბლიოთეკა ავსებულია საუკეთესო წიგნებით, რომელთა შორის 400 ტომი უუძვირფასესი წიგნია.

**სახალხო განათლება.**

**ბაქო,** 10 ნოემბერი. ზაქათალის მაზრაში სკოლის გარეშე განათლების ქვეგანყოფილებამ არტისტიული წრე მოაწყო, ამასთან—გახსნა მუშათა და გლეხთა კლუბი და სამკითხველოები. მოწყობილია წითელ ასკერებში საღამოს კურსები წერა-კითხვის უცოდინართათვის. სასკოლო განყოფილებამ დაიწყო სკოლის შენობის შეკეთება და აგრეთვე ახალი შენობების აშენებაც მიმდინარე სამოსწავლო წლისათვის. უკვე გახსნილია პირველი და მეორე საფეხურის რამოდენიმე სკოლა. ერთ-ერთ სკოლასთან გახსნილია ღარიბეს ბავშვთათვის პანსიონი, სადაც ბავშვები ყოველმხრივ უზრუნველყოფილი არიან.

**საამხანაგო მეურნეობა.**

**ბაქო,** 10 ნოემბ. ნუხის მაზრაში 198 საამხანაგო მეურნეობაა მოწყობილი, ზაქათალის ოლქში, სადაც კერძო საკუთრება სრულიად არ ყოფილა, მხოლოდ სამია; არეშოვის მაზრაში ჯერჯერობით 16 მეპატრონის მამულია არა მქონეთა შორის დანაწილებული.

ნუხაში და ზაქათალში მომხდარი ბინის კომიტეტების ყრილობებზე გადაწყვიტეს ღარიბეს გლეხობას უფასოთ მისცენ ტყით სარგებლობის ნება, რომ ტყე უწესოთ არ აჩეხონ და მით მეურნეობის საქმე არ შეაფერხდეს; გლეხებმა ტყე უნდა ისარგებლონ ტყის მცველის ჩვენების თანახმათ. სხვა გლეხები ამ ღარიბ გლეხებს უნდა დაეხმარონ ხარკამეჩებით და გადასაზიდ საშვალებებით.

# რევოლიუციის ფრონტებზე

**სამხედრო ოპერატ. რადიო ცნობა რესპუბლიკის საველე შტაბ. „რევოენსოვეტისა“.**

22 ნოემბრის 1920 წ.

**სამხ. დასავლეთ. ფრონტი.**

**მოსკოვი,** 23 ნოემბერი. მოზირის რაიონში ჩვენმა წითელმა ჯარებმა დაიკავეს მთელი რიგი პუნქტებისა მოზირის დასავლეთით და სამხრეთით 25 ვერსზე. პრიპიატის მარცხენა ნაპირზე ჩვენ აგიღეთ დაბა ხოინიკი.

ბალახოვიჩის მთავარი ძალები, რომლებიც მომწყვდეულნი არიან პრიპეტის მარცხენა ნაპირზე და თავს იყრიან მოზირის აღმოსავლეთით, ჩვენ უკვე მივიღეთ ზომები მათი სალიკვიდაციოთ.

კოროსტენ-მოზირის მიმართულებით ჩვენი ნაწილები გამოვიდენ ბელსკის რაიონში. სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ გადავედით მდ. სლოვეჩნოზე და ვდევნით დამარცხებულ მტერს. წამოვიყვანეთ ტყვეები.

ვოლოჩინსკის მიმართულებით ჩვენმა სახელოვანმა წითელმა ნაწილებმა მიაღწიას პუნქტებს ვოლოჩინსკის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით 20 ვერ.

20 ნოემბრის ბრძოლებში ჩვენ წამოვიყვანეთ 500 ტყვეზე მეტი, 17 ტყვიისმფრქვეველი და ჯავშნიანი მატარებელი „ზაპოროჟეცი“ ორი ზარბაზნით და 6 ტყვიისმფრქვევლებით.

რესპუბლიკის საველე შტაბის რევოენსოვეტის ვოენკომის მაგიერ კლიმ.

# დღიური.

მოზირის რაიონში წითელმა ჯარმა აიღო ხოინიკი.

ვოლოჩისკის მიმართულებით წითელი ჯარი ბრძოლით მიუახლოვდა ვოლოჩისკს 20 ვერსით. ხელთ იგდო 500 მეტი ტყვე, 17 ტყვიის-მფრქვეველი და ჯავშნიანი მატარებელი: „ზაპოროჟეცი“ ორი ზარბაზნით და 6 ტყვიის-მფრქვეველით.

პირველ დეკემბრიდან ნორვეგიაში დაიწყება რკინის-გზელთა გაფიცვა.

ბელგიაში დაარსდა კომუნისტური პარტია.

საფრანგეთში იზრდება უკმაყოფილება მთავრობისადმი.

22 ნოემბერს ლონდონში გაიხსნებოდა პროფკავშირთა საერთაშორისო კონგრესი.

---

## ირლანდიაში.

**ლიონი,** 23 ნოემ. დუბლინში შეიარაღებულ სინფეინერები დაესხენ საოკუპაციო კორპუსის ოფიცრების სადგომებს, რომლებიც ღებულობდენ მონაწილეობას სამხედრო სასამართლოებში და ასამართლებდენ ირლანდიელ „აჯანყებულებს. რამოდენიმე ინგლისელი ოფიცერი დახოცეს.

**გაფიცვების მოახლოვება ნორვეგიაში.**

**მოსკოვი,** 23 ნოემ. რკინის გზელების გაფიცვა დაიწყება პირველ დეკემბრიდან. რკინის გზელების თავმჯდომარის თქმით მდგომარეობა ძალიან სერიოზულია.

# საქართველოში

**„კორექტორული შეცდომაა“ თუ განზრახ შეცდომა?**

21 ნოემბერს სახალხო სახლში იყო საზოგადო კრება მბეჭდავთა საქმის კავშირის გამგეობის ასარჩევად.

იყო წამოყენებული ორი სია: № 1 მენშევიკ - ფედერალისტ - დაშნაკელების ბლოკიდან შემდგარი, და № 2 მხოლოდ კომუნისტებიდან შემდგარი.

არჩევნების პროცედურის გათავების შემდეგ გამოირკვა ასეთი შედეგი: № 1 მიიღო 262 ხმა, № 2—261 ხმა.

აქ ზედ-მეტათ მიგვაჩნია იმაზე ლაპარაკი თუ რა ნაირ ზომებს მიმართავდენ № 1 ბლოკის მეთაურები არჩევნების დროს.

აი რას ვკითხულობთ ამ არჩევნების შესახებ გაზეთ „ერთობის“ 267 ნომერში (ქრონიკაში): „მბეჭდავთა კავშირშირის გამგეობის არჩევნებში 21 ნოემბერს სოციალ დემოკრატებმა მიიღეს 262 ხმა, კომუნისტების შეერთებულმა სიამ 261 ხმა. ამრიგათ სოციალ-დემოკრატებმა გაიყვანეს გამგეობაში 8 კანდიდატი, კომუნისტურმა ბლოკმა 7“.

რა არის ეს, —„კორექტორული შეცდომა“ თუ განზრახ შეცდომა?!

**— თბილისის მუნიციპალურ მუშამოსამსახურეთა კრება.** თბილისის მუნიციპალურ მუშა მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტი იწვევს დელეგატთა ყრილობას სამშაბათს 30 ნოემბერს საღ. 5 ნახ. საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში.

**— სტიპენდია.** თბილისის მუნიციპალურ მუშა მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტი აცხადებს, რომ ქალაქის და ქალაქთა კავშირის მუშამოსამსახურეთ, რომლებიც განიცდიან ქონებრივ სივიწროვეს, მიეცემათ ოჯახის უახლოეს წევრთათვის (შვილები და —ძმები) სტიპენდია, რომელიც უდრის სწავლის 1920—1921 წ. გადასახადს ყოველ მოსწავლეზე.

სტიპენდიის მთხოვნელებს ევალებათ განცხადებას თან დაურთონ დაწვრილებითი სწორი ცნობები მათი ოჯახური და მატერიალური მდგომარეობის შესახებ ადგილობრივ კომიტეტის დასკვნით.

უკანასკნელი ვადი განცხადებების შემოტანისა არის პარასკევი 26 ნოემბერი.

**— ფოილოს ხიდი.** გთხოვთ გაზეთებს მიაწოდოთ შემდეგი ცნობა: 18 ნოემბერს ფოილოს ხიდზე გაემგზავრა გზათა დეპარტამენტის დირექტორი ინჟენერი ბ. ჭიჭინაძე, გზათა უფროსის ინჟენერ ა. კანდელაკის და სალიანდაგო ნაწილის უფროსის ინჟენერ კარპოვიჩის თანხლებით, ფოილოს ხიდის ოფიციალურად მისაღებად და მასზე მოძრაობის გასახსნელად. მიღებას აზერბეიჯანის რკინის გზების წარმომადგენლებიც დაესწრებიან.“

# მუშათა წერილები

## იოსებ იმედაშვილი

კვირას, 21 ნოემბერს, ბეჭვდითი სიტყვის მომუშავეთა კავშირის კრებაზე ბ. იმედაშვილმა დიდი „უშველებელი „რეჩი“ წარმოსთქვა საზოგადოთ ბოლშევიკების წინააღმდეგ. მან ბრძანა, რომ ბოლშევიკები არც ერთ ორგანიზაციაში არ არიან შესაშვები, რადგან ისინი ყველაფერს აქცევენ.

რაც შეეხება ბოლშევიკების ორგანიზაციებში შეშვებას, ამაზე ჩვენ ბ. იმედაშვილს არ დავეკითხებით, მხოლოდ ჩვენ ვალდებული ვართ ვიკითხოთ, თვითონ ბ. იოსებ იმედაშვილი შესაშვებია განა ბეჭვდითი სიტყვის კავშირში? ან რა გზით შეძვრა კავშირში ეს პოლიტიკის და ჟურნალისტიკის შარლატანი? რა ესაქმება ამ შოვინისტს მუშათა კავშირში? ამ კითხვებზე დაუყოვნებლივ უნდა მოგვცეს პასუხი კავშირის მმართველობამ.

აქ საჭიროა ცოტა რამ მოვიგონოთ ამ „სოციალისტის“ პოლიტიკურ „მო-

ლეგაწეობიდან". 1905 წლის რევოლიუციის წინათ ეს ვაჟბატონი შეძვრა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, „სტარშინობა" იშოვნა და თან სოციალისტობას ჩემულობდა 1905 წლის რევოლიუციის დროს. თვლიდა რა თავის თავს სოციალ—დემოკრატიულ პარტიის წევრათ და მუშაობდა რა პირველი დუმის არჩევნებში, ამ მატყუარას არც აცივა, არც აცხელა და კენჭის ყრის დროს სოციალდემოკრატებს უღალატა და ხმა ფედერალისტების კანდიდატს მისცა.

ამ საზიზღარ ღალატისთვის მაშინ ბ. იმედაშვილს პარტიამ დიდი ანათემით მიმართა და გააძევა პარტიიდან. მაგრამ ამ შუბლმაგარმა ვაჟბატონმა წარბიც არ შეიხარა და „სტარშინობა" ისე გამოტკბა, რომ არაფრისთვის არ ელეოდა, სანამ მოკვლა არ დაუპირეს.

ამას შემდეგ ეს ავანტიურისტ-შოვინისტი პრესაში შარლატანობს და ახლა მენშევიკების ბლოკში „მოღვაწეობს" ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომ „დაიცვას" საქართველოს დამოუკიდებლობა. მთელი მისი მოღვაწეობა ამ შემთხვევაში გამოიხატება კრილოვის ზღაპარში: „ღორი მუხის ქვეშ"—ოღონდ რკო მქონდეს და მუხა თუნდ ძირიანათ გახმესო.

ახოთამწყობი.

## სიმართლისათვის მებრძოლთ!

(ძლვნად გადასახლებულ კომუნისტებს)

ზამთრის სუსხმა, უხეშ ძალამ
გადაგრეკორცნათ უცხო მხარეს,
და ვინ იცის, მტარვალები
გიმზადებენ სად სამარეს

ჯაჭვ ხუნდებით შებორკილი
გაგაგზავნეს უცხო მხარეს,
რომ მით ძალა შეგისუსტონ
მიგაბარონ ცივ სამარეს.

მაგრამ მებრძოლს ეს რას უზამს?
ულრკეეცებს მხოლოდ ძალას,
რომ შემდეგში უფრო მკვეთრად
შეებრძოლოს მჩაგვრელ-მტარვალს!

გაიმარჯვებს მაშვრალთ კერა
დამარცხდება მყვლეფელთ მხარე,
მზის სხივებით განათდება
ბნელში მყოფი არე-მარე.

კალე ფეღლოსიშვილი.

აუტანელ და საშინელ მდგომარეობაში იყო, ორ დღეში თუ იშოვნიდა რასმეს საჭმელს, იმით იკვებებოდა და გაჭირვებულათ გაჰქონდა დრო. სიკვდილს როგორ მოისურვებს კაცი დალხინებული, თუ ის არ განიცდის უკიდურ მდგომარეობას; ბევრ ალაგას მინახავს თვალით და კიდევაც მიყურებია, რომ შიმშილისაგან დაქანცული გლეხი, როგორც მთვრალი, ისე ვარდებოდა მიწაზე და გაიძახოდა ხოლმე: „ვაი ამისთანა დროს რისთვის მოვესწარიო."

მუშისშვილი

# მუშათა ცხოვრება

## ჩვენში

### ბორჩალოს სამაზრო ერობის მოსამსახურენი

არავის საიდუმლოებას არ შეადგენს თუ რა უმწეო მდგომარეობას განიცდიან დღეს ბორჩალოს სამაზრო ერობის მოსამსახურენი, რომელთა რიცხვი 300 კაცამდე ადის.

მათთვის არ არსებობს არც 8 საათის სამუშაო დღე, არც ეკონომიური პირობების გაუმჯობესება, არც კულტურული წინსვლა. ინტელიგენცია საკმაოთ მოიპოვება მაგრამ რა? თუ ვინმემ გამოიჩინა ენერგია და აღძრა ენა უსამართლობის წინააღმდეგ, მას იმწამსვე ქუჩაში უჩვენებენ გზას.

შაქარი, ჩაი და სხვა სანოვაგე, თუ მანუფაქტურა საკმაოთ მოეპოვება გამგეობას, მაგრამ მოსამსახურენი მხოლოთ ცქერით კმაყოფილდებიან, ვინაიდან ერობის გამგეობის დადგენილების თანახმათ სანოვაგე მხოლოთ „კლასნი ჩინს" ეძლევა, მაგალითად: გამგეობის წევრებს, ინჟინერებს, ექიმებს, მილიციის უფროსს და კომისრებს.

გ. ციმბირელი.

—

### რკინის-გზელთა უმწეო მდგომარეობა

კი, მართალია, ყველას დიდათ უჭირს დღეს ცხოვრება; მაგრამ ჩვენისთანა არა მგონია, თუ ვინმეა.

ძველათ თუ რამ გვქონდა შენაძენი, ჩალის ... დაუთმეთ სპეკულიანტებს; ... მაგრამ თავ... ... შილ-წყურვილს.

დღითი-დღე ყოველგვარ სანოვაგეს ფასი ემატება, ხოლო ჩვენი ჯამაგირი კი, არც კია სახსენებელი. დაპირებით თითქოს ყოველდღე გვპირდებიან მომატებას; მაგრამ ჯერჯერობით ასეთი არა სჩანს, რა და, ან როდის იქნება—ალაჰმა უწყის.

ასე გასინჯეთ, რომ არავინ ჩვენგანი კრინტს არა სძრავს ამის შესახებ; ვითომდა არც გვესაჭიროებოდეს.

ვისაც თავიდან ცოტაოდენი დახმარება მაინც აქვს, იმან შეიძლება მოითმინოს, მაგრამ ვინც მარტო ჯამაგირზეა დამყარებული—იმან რა ქნას?

შედარებით დღევანდელ ხანაში 400—500 თუმანი განა ეყოფა თვეში ადამიანს საცხოვრებლათ? ცხადია, რომ მარტო რიხიანი სიტყვები არავის ეყოფა და საჭიროა თავის დროზე მიეცეს ყურადღება; ესეც მაშინ მაინც ცოტათი ეშველოს სალუქაფ ჯამაგირების შემჩვრეს.

თაგვისარა.

—

## საზღვარ-გარეთ

### საერთაშორისო პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მოქმედება

რევოლიუციონურ პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო საბჭოსთან დაარსდა ლიტერატურულ-გამომცემლობითი და საინფორმაციო განყოფილება. ლიტერატურული გამომცემლობითი განყოფილებითი საგანს შეადგენს. პერიოდიულად ლიტერატურის გამოცემას ოთხ ენაზე (რუსულზე, ინგლისურზე, ფრანგულზე და გერმანულზე), როგორც წიგნების, ისე ბროშურების საერთაშორისო მუშათა მოძრაობის თემაზე, მოწოდებების შემუშავება, მანიფესტების და სხვ.

არა პერიოდულ გამოცემიდან გამოვიდა ლოზოვსკის: „პროფესიონალურ და მწარმოებლების კავშირთა საერთაშორისო საბჭო" ინგლისურ ენაზე ნორვეგიის მუშათა პარტიის გამომცემლობის დავალებით. ბერლინში დაიბეჭდა გერმანულ ენაზე ლოზოვსკის ბროშურა „პროფესიონალური კავშირები და საბჭოთა რესპუბლიკა". გადაითარგმნა და მზადდება დასაბეჭდათ სხვა და სხვა ბროშურები, კერძოდ კი მ. ტომსკის „ორგანიზაციულ აღმშენებლობის პრინციპები".

რაც შეეხება ინფორმაციულ განყოფილებას, მან უკვე შეკრიბა მასალები მთელ რიგ კითხვებზე და ფაქტებზე საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ. მაგალითად, შედგენილია იტალიის ამბების მიმოხილვა, მაღნის მუშების მოძრაობისა—ინგლისში, საქარხნო საბჭოებისა—გერმანიაში. მოკრებილია აგრეთვე ცნობები პროფ. კავშირთა საერთაშორისო საბჭოსთან დამოკიდებულებისა დასავლეთ ევროპის სხვა და ... ქვეყნების მუშებისა და სხვ. და სხვ.

—

### პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო საბჭოს აღმოსავლეთის ბიურო

პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო საბჭომ მიიღო დეპეშა აზერბაიჯანის პროფ. კავშირთა პირველ ყრილობის პრეზიდიუმისაგან, რომ ყრილობამ წითელ ინტერნაციონალის პრინციპების საპროპაგანდოთ, დაადგინა შექმნას დროებითი აღმოსავლეთის ბიურო პროფ. კავშირებისა. აზერბაიჯანის პროფ. კავშირების საბჭოს პრეზიდიუმმა საერთაშორისო საბჭოს წარმომადგენლის ამხ. მიქაძის თანდასწრებით უკვე შეუდგა ბიუროს ორგანიზაციას და კიდევაც მოიწვია პირველი თათბირი სტამბოლის და ანატოლიის პროფეს. კავშირებისა, პრეზიდიუმმა დაისახა მიზნათ დაიწყოს მუშაობა სპარსეთშიაც. განზრახულია ახლო მომავალში მოიწვიონ კონფერენცია ოსმალეთის პროფ. კავშირებისა.

აღმოსავლეთის ბიუროში შევლენ პროფეს. კავშირები: საქართველოსი, სომხეთის, ოსმალეთის, სპარსეთის და აზერბაიჯანის, ამას გარდა ბიუროში იქნება შეყვანილი წევრათ „მესამე ინტერნაციონალის მოქმედების და პროპაგანდის კომიტეტის" წარმომადგენელი.

# პარტიული ცხოვრება

## თბილისში.

### მე-2 რაიონის საბჭოს სხდომა

მე-2 რაიონულ საბჭომ თავის 15 ნოემბრის სხდომაზე დაადგინა: ვინაიდან რაიონის იაჩეიკებმა არა ერთხელ მოითხოვეს სომხურ ენაზე პარტიულ გაზეთის გამოცემა და ვინაიდან მომენტის სირთულე გადაუდებლათ მოითხოვს ყველა ენებზე და ყოველ მხრივ განხილვას იმ საჭირბოროტო კითხვებისა, რომელთაც მომენტი წინ გვიყენებს—რაიონულ საბჭო აუცილებელ საჭიროთ სცნობს მახლობელ დროში სომხურ ენაზე პარტიულ გაზეთის გამოცემას, რაც სომხის მშრომელ ხალხს გაუადვილებს დღიურ საჭირბოროტო კითხვებში გარკვევას და მით მალამოს დასდებს მათ დაძარღვებულ სხეულს.

## მე-4 რაიონის მე-13 იაჩეიკის სხდომა.

13-ნოემბერს შესდგა მე 4 რაიონის მე 13 იაჩეიკის სხდომა. დღიური წესრიგი იყო შემდეგი: მომენტზე 1) ამხ. ბ. მოხსენება; 2) მოხსენებები ადგილებიდან.

ამხ. მომხსენებელი აღნიშნავს ამ კრიტიკულ ეკონომიურ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებიან საქართველოს რესპუბლიკის მუშები და მოსამსახურენი.

„მუშათა კლასის გადარჩენა ფიზიკურ განადგურებისაგან შეუძლია მხოლოდ ერთად-ერთ მუშათა მთავრობას—პროლეტარიატის დიქტატურას, რომელსაც შეუძლია ახალი, მუშათა და ღარიბ გლეხთა ცხოვრების აშენება.

კრებამ მიიღო რა მხედველობაში ის მოვლენა, რომ საქართველოს მუშათა კლასის აშკარა თუ ფარული მტრები ცდილობენ ჩაახშონ მუშათა კლასში კლასიური თვითშეგნება, დაადგინა, გააძლიეროს პარტიულ მუშაობა და აუხსნას მუშათა მასსებს ის მოღალატური და დამღუპველი პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებენ მენშევიკები.

—;—

## ქ. სიღნაღი

ივნისში მოხდა პირველი კონფერენცია სიღნაღის მაზრის თითქმის ყველა სოფლების ორგანიზაციების წარმომადგენლებისა, სადაც იქმნა არჩეული დროებითი სამაზრო კომიტეტი. ის იყო კომიტეტმა დაიწყო კულტურული მუშაობა, სახელდობრ, გაზეთ „კომუნისტის" გავრცელება, რომ მაშინათვე თავზარი დაეცათ აქაურ ორ გამგეობის ბატონ პატრონთ.

სიღნაღში ყოველ დღე იყიდებოდა კომუნისტი 100 ცალი, როდესაც მენშევიკების ორგანო „ერთობა" 5 ცალიც არ იყიდებოდა. „კომუნისტის" გავრცელება ... აქაურ ადმინისტრაციას და მიზნათ დაისახეს ბრძოლა ყოველნაირი საშუალებით, იყო მაგალითი ასეთი: ჩვენი გაზეთის გამყიდველ პატარა ბიჭს გაზეთი გამოსტაცეს ხელიდან სიღნაღის ბატონპატრონებმა ტყავაძე—კრაწაშვილმა და ნაკუწ-ნაკუწათ აქციეს, სახალხოთ ჩაიდინეს ასეთი საქციელი ცნობილ მოღაწე „გმირებმა". გაზეთის დამტარებელ ბიჭს აშინებდნენ. ნუ ყიდი გაზეთსო, თორემ გცემთ და დაგიჭერთო, რის მიზეზი იყო ის, რომ თითქმის ყოველ დღე ახალ-ახალი გაზეთის გამყიდველს ვეძებდით. ის-ის იყო სამაზრო კომიტეტს უნდა მოეწყო ლექციები, უფასოთ კვირაობით ყველა მუშებისთვის, რომ მომზადებულიყვნენ ჩვენი პარტიის ახალი ძალები და სიმართლის სხივი მოფენოდა იმ პრავაკაციას, რასაც ადგილი ქონდა ჩვენს გმირ მენშევიკების მეოხებით. ყველაზე მეტი პრავაკაციის გასაღება დასჭირდათ აქაურ მოღვაწეებს მას შემდეგ, რაც საბჭოთა წითელი არმია საქართველოს საზღვრებს მიუახლოვდა.

მიუხედავათ იმისა, რომ მენშევიკები სახალხოთ ჩვენს წინააღმდეგ ათას ნაირ სიცრუეს და დემაგოგიას ავრცელებდენ, აქაური მშრომელი გლეხობა დიდი სიპატიით უყურებდა ჩვენს პარტიას, ყოველ დღე ახალ-ახალ სოფლების წარმომადგენელი გლეხები მოდიოდნენ, რომ სოფლებშიც გაგვეხსნა ბიუროები და პარტიაში ჩაგვეწერა მშრომელი გლეხობა.

ასეთივე სიპატია იყო სიღნაღის მშრომელ მოქალაქეთა შორის განურჩევლათ ეროვნებისა. მენშევიკებმა უკვე დაინახეს აქ ის სამარე, რაც უკვე დიდი ხანია თვით გაითხარეს მშრომელ ხალხის წერაქვით, და გადასწყვიტეს ყოველნაირი საშუალებით შებრძოლებოდენ ჩვენს პარტიას. მენშევიკებმა მიზნათ დაისახეს მთლად აღმოეფხვრათ ჩვენი მუშაობა და კიდეც იქმნა სისრულეში მოყვანილი სიღნაღის მაზრის ადმინისტრაციის მიერ, რომლის მთავარ სულის ჩამდგმელათ კრაწაშვილი ითვლება.

ერთი სიტყვით სიღნაღის მაზრის კომიტეტის კულტურული ნაბიჯის გადადგმა მავნე მიმართულებათ აღიარეს ჩვენმა „გმირებმა" მენშევიკებმა, ... კვრით მოსპეს ჩვენი მუშაობის დასაწყისი.

საწყენი და თავზარ დამცემი იყო მენშევიკებისთვის მშრომელ მუშა-გლეხების ერთად ერთი ინტერესების დამცველი კომუნისტური პარტია, რომელიც აწყობდა თავის სამართლიან წითელ დროშის ქვეშ მშრომელთ.

ა—ლი.

# პროვინციის ცხოვრება

## სოფ. თამაკონი

მოგეხსენებათ, რომ ს. თამაკონი როგორც ერთი მივარდნილი სოფელი, რასაკვირველია ჩამორჩენილია კულტურით სხვა სოფლებს.

თუმცა ზემოხსენებულ სოფელში ინტელიგენტთა რიცხვი საკმაოა, რომელთაც შეუძლიათ ამ სოფლის წინ წაწევა განვითარების მხრივ, მაგრამ, თუ ვინმემ ხელი არ შეუწყო მათ—„მარტოხელა კაცი ქამაშიაც ბრალია". არავინ დახმარებას არ უწევს და პერიქით, ხელსაც კი უშლიან. აი მაგალითიც:

ამ წლის ზაფხულში ადგილი ქონდა შემდეგს: ჩვენ ამავე საზოგადოების შვილნი ვიყავით მოტრფიალე იმ მივარდნილ მხარეში გაგვემართა წარმოდგენა, რასაც ხალხი დიდი სურვილით ეტანება. ამ შემთხვევაში, მივმართეთ ერობის თავმჯდომარეს თხოვნით. ის იყო თანახმა ამ საქმისა. ახალგაზრდა მოტრფიალენი „წარმოდგენისა" ემზადებოდენ და მოახლოვდა დროც... მთავრობიდან მივიღეთ ცივი უარი, ამ გარემოების მიზეზი შემდეგში როგორც გამოირკვა, იყო ადგილობრივი მილიციონერი ველარ გაგვიგია, მილიციონერის გეზის კისერზე სხვებთან ერთათ?

მ. ა. ტეხურისპირელი.

—

## სოფლის მდგომარეობა (სამეგრელოში).

სოფლის გლეხები დიდ გაჭირვებას განიცდიან თანამედროვე ხანაში. ნავთის, მარილის და ფართლეულობის უქონლობა მთლად განსაცდელში აგდებს ხალხს; მომავალზე იმედი არ აქვთ. ყველგან გლეხების მხრით ისმის ჩივილი თავისი ადმინისტრაციის შესახებ. ისინი არ არიან კმაყოფილნი მისი მოქმედებით. შეიტანს საწყალი გლეხი თხოვნას, რომ აქვს რაიმე საქმე გასარჩევი, გამგეობაში, და ელის იქიდან პასუხს დაჩქარებით, მაგრამ თუ ელირსა მას პასუხი ორი თვის განმავლობაში იქედან კიდევ კარგი თუ არა, ისიც ხშირად ხდება, რომ შეტანილი თხოვნის გარჩევა სრულებითაც არ მოხდება ხოლმე. და რასაკვირველია ამისთანა მდგომარეობაში, სასოწარკვეთილებაში ვარდება.

წარსულ წელში დიდი გაჭირვება იყო სიმინდის უქონლობის გამო, სოფელში დიდ უმრავლესობას არაფერი გააჩნიათ. ვისაც კი რაიმე სალსარი ჰქონდა, უკვე მოიხმარა და უშველა თავს. არ დაუტოვებია, თითქმის უკანასკნელათ მისი მრჩენელი მუშა ხარები და დიდი ვალიც დაიდო თავზე. მაგრამ წარმოიდგინეთ, მათი მდგომარეობა; ვისაც არც ფული ქონდა, არც ფულს არავინ ასესხებდა, არც საქონელი ყავდა რომ გაეყიდა და არაფერი საშვალება ჰქონდა 5—6 ოჯახის წევრის სარჩენათ, რა უნდა ექნა?

## შეცდომის გასწორება

„გუშინდელ №ში წერ. „ბეჭდითი კავ. გამ. ხელახალი არჩევნები" მე-4 გვ. 1-ლ სვეტ. ზევიდან 65 სტრიქონის ქვემოთ სწერია: „№ 1-მა მიიღო 262 და № 2-მ 162". უნდა იყოს: № 1-მა მიიღო 262 და № 2-მ მიიღო 261.


# განცხადებანი.

გამომცემლობა

## „წითელი ვარსკვლავი"

გამოსულია.

1. ვინ არიან კომუნისტები (ბოლშევიკები). ფ. 3 მ.
2. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ინტერნაციონალი მომაკვდავი და ინტერნაციონალი აღმომავალი. ფ. 5 მ.
3. მ. კასპიელი. ვინ სტყუის? ფ. 10 მ.
4. ნ. ლენინი. ეკონომიკა და პოლიტიკა—პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. ფ. 5 მ.
5. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ომი და სოციალიზმის კრიზისი. ფ. 20 მ.
6. მ. კასპიელი. ინტერნაციონალი და ომის საკითხი. ფ. 15 მ.
7. პროგრამა რუს. კომ. პარტიისა.
8. ბუხარინი. პროლეტ. დიქტატურა რუსეთში და მსოფლიო რევოლუცია.

იბეჭდება:

9. ბუხარინი და პრეობრაჟენსკი. კომუნიზმის ანბანი.

დამზადებულია დასაბეჭდათ:

10. ზინოვიევი. პარტია და პროფესიონალური კავშირები.
11. მინინი. რელიგია და კომუნიზმი.
12. პეტროვიჩი. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
13. ნ. გექტორი. რით აიხსნება რუსეთში სოციალისტ. რევოლიუციის ადვილად გამარჯვება.
14. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნ. ცენტ. კომიტეტის მიმართვა კავშირისადმი 1850 წ.
15. კ. მარქსი. სამოქალაქო ომი საფრანგეთში 1870–71 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 8, მეორე სართული, ტელ. 8—91.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქუჩ. № 8, მეორე სართული. ტელ. 8—91. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 185. ბიურო ღიაა საღ. 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის მეოთხე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ყოფილ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ყოფილ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ბიურო ღიაა დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ყოფილ საბჭოს ბინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 საათ. საღამოს 5—7 საათ.


დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი.

სტამბა „ეკო"-ნომია დიდივანქის ქ. № 3.